ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223438**
თარიღი: **09/12/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“
სხდომის ოქმი №15

ქ. ლანჩხუთი

06.12.2022 წელი
11:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.
მოწვეული სტუმრები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ მურვანიძე, ამავე გაერთიანების ბუღალტერის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან მანტკავა.
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სააფეხბურთო სკოლის დირექტორი ზაალ სანაძე, მთავარი ბუღალტერი ეკატერინე ასპანიძე.
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნატო მენაღარიშვილი, ამავე ცენტრის ბუღალტერი ლუიზა სარიშვილი.
ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სააფეხბურთო სკოლის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

3. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

4. სხვადასხვა:

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

სხდომის დაწყებამდე, ფრაქციის წევრებმა გამოთქვეს მწუხარება ა(ა)იპ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბატონი მერაბ ქარჩავას გარდაცვალების გამო.

დღის წესრიგის პირველ საკითხი - ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ამავე გაერთიანების მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ზურაბ მურვანიძემ. მან განმარტა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება ფუნქციონირებს 2015 წლის 1 იანვრიდან. მის დაქვემდებარებაში შედის კულტურის ადმინისტრაციული სამსახური ჯურუყვეთის, აცანის და სუფსის განყოფილებებით, საქალაქო ბიბლიოთეკა მისი 18 სასოფლო ბიბლიოთეკით და 4 მუზეუმით.

დაწესებულებაში დასაქმებულია შტატით 68 და შტატგარეშე 135 ადამიანი.სულ დასაქმებულთა რიცხოვნობა შეადგენს 203 ადამიანს. 2022 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 915000 ლარით.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ გათვალისწინებულია თუ არა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი მატება, რაზეც ზურაბ მურვანიძემ უპასუხა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ასახულია ხელფასების მატება.

ფრაქიის წევრებმა დააყენეს წინადადება აღნიშნულ ა(ა)იპში ხელფასების მოწესრიგების თაობაზე.

ფრაქცია ასევე დაინტერესდა იგეგმება თუ არა ბიბლიოთეკების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა, რაზეც ზურაბ მურვანიძემ განმარტა, რომ აჟამად ორი ბიბლიოთეკა (ნიგოითი, ქვიანი) არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და ელოდებიან ალტერნატიული ფართის გამოყოფას, სადაც განთავსდება აღნიშნული ბიბლიოთეკები. ამ ეტაპისთვის ცენტრალური ბიბლიოთეკა დაფინანსებულია 4000 ლარით, აქედან 3000 ლარით შეძენილია წიგნები, ხოლო 1000 ლარი დახარჯულია ტექნიკის შეძენისთვის. მისი თქმით, აუცილებელია მოეწყოს ღია კარის დღე, მოხდეს წიგნების გადაცემის პრეზენტაცია და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი უფრო აქტიურად იყოს ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებაში.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკები უნდა გადაკეთდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრად.

ფრაქციის წევრების თქმით, აუცილებელია მოხდეს ყველა ბიბლიოთეკის კომპიუტერით და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

ფრაქციის წევრი ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა წინა წელთან შედარებით რამდენი ლარით არის გაზრდილი ბიუჯეტი, რამდენი ახალი თანამშრომელი აიყვანეს 2022 წელს და მოხდა თუ არა რეორგანიზაცია, რაზეც ზურაბ მურვანიძემ უპასუხა, რომ 2023 წლის ბიუჯეტი 115 000 ლარამდე არის გაზრდილი. 2022 წელს სულ აყვანილი იქნა 2 ახალი თანამშრომელი და რეორგანიზაცია არ ჩატარებულა. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრი ძალიან კარგი პროექტი არის დაგეგმილი 2023 წელს.

ზურაბ მურვანიძის თქმით ბიუჯეტში თუ მოხდება თანხის დამატება შეძენილი იქნება აპარატურა.

ფრაქციის წევრებმა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას ზემოთ გამოთქმული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.
- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის მიერ.

დღის წესრიგის მეორე საკითხი- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სააფეხბურთო სკოლის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ზაალ სანაძემ. მან აღნიშნა, რომ საფეხბურთო სკოლა წელს ასაკობრივ ჩემპიონატზე 4 გუნდით იღებდა მონაწილეობას,აქედან ერთი გუნდი ჩემპიონი გახდა, დანარჩენები კი საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნე,ნ რამდენი ლარით იყო წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რამდენ თანამშრომელს ქონდა მინიმალური ხელფასი, ასევე დაგეგმილია თუ არა თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი მატება, რაზეც ზაალ სანაძემ განმარტა, რომ 2023 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია 313 000 ლარით, მინიმალური 200 ლარზე ნაკლები ხელფასი აქვს ერთ თანამშრომელს. მისი თქმით 2023 წელსაც დაგეგმილია ხელფასის 10%-იანი მატება.

ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა სულ რამდენი თანამშრომელია აღნიშნულ ა(ა)იპ-ში, რაზეც ზაალ სანაძემ უპასუხა, რომ დასაქმებულია 42 თანამშრომელი, აქედან 7 შტატით და 35 შტატგარეშე მოსამსახურეა.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა,რომ აუცილებელია მწვრთნელებს მიეცეს ნორმალური ანაზღაურება, ბავშვებმა მიიღონ მონაწილეობა უფრო მეტ ტურნირზე და მოწესრიგდეს საფეხბურთო ინვენტარი. ის ასევე დაინტერესდა თუ რა ბედი ელით საფეხბურთო აკადემია დამთავრებულებს, რაზეც ზაალ სანაძემ უპასუხა, რომ მათ შეუძლიათ გადავიდნენ სხვადასხვა გუნდებში, ასევე სურვილის შემთხვევაში დაბრუნდნენ საფეხბურთო სკოლაში და გააგრძელონ თამაში მაღალ ასაკობრივ ჯგუფში.

ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო სკოლას ესაჭიროება საოფისე ფართის გამოყოფა, ასევე კარგი იქნება მეგობრობის სტადიონის აღდგენა-რეაბილიტაცია.

ფრაქციის წევრებმა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას ზემოთ გამოთქმული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სააფეხბურთო სკოლის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მესამე საკითხი- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ამავე ცენტრის უფროსმა ნატო მენაღარიშვილმა.
ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ რამდენი ლარით იყო წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, აღნიშნულ ა(ა)იპში იგეგმება თუ არა თანამშრომელთა ხელფასების 10 %-იანი მატება, რამდენი თანამშრომელია დასაქმებული, როგორც შტატით ასევე შტატგარეშე პოზიციაზე, რაზეც ნატო მენაღარიშვილმა განმარტა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია 320 000 ლარის ოდენობით, ისევე როგორც 2022 წლის ბიუჯეტში, მიმდინარე წელსაც გათვალისწინებულია ხელფასების 10%-იანი მატება. სულ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებული არის 18 შტატით გათვალისწინებული და 4 შტატგარეშე თანამშრომელი.
ნატო მენაღარიშვილმა ასევე აღნიშნა,რომ შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში და თანამშრომლებს ძალიან ცუდ მდგომარეობაში უქმნევთ მუშაობა. აუცილებელია აშენდეს ახალი შენობა ან გამოიყოს ალტერნატიული ფართი, სადაც განთავსდება აღნიშნული ცენტრი. მისი თქმით სამსახურს სრულყოფილი მუშაობისათვის ესაჭიროება ტრანსპორტის შეძენა.
ფრაქციის წევრებმა ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს ზემოთ გამოთქმულ პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

სხვადასხვა საკითხები:

ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, ისევე როგორც წინა ფრაქციის სხდომაზე, მათ მიერ გაგზავნილ არცერთ წერილსა თუ ინიციატივაზე რეაგირება არ ყოფილა მერიის მხრიდან.

ის ასევე დაინტერესდა, მოქმედებს თუ არა ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდული საბჭო და რას საქმიანობს, ასევე ხდება თუ არა სახალხო ბიუჯეტირებაში მოსახლეობის ჩართულობა.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე